



26 ნოემბერი, 2018



ორშაბათი, №10 (2225)

ოჯახობაზე რეგონებში მცხოვრები აბიტირებლებისთვის ტსუ-ში უფასო მოსამზადებელი ცენტრი იქმნება



ღვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტში უფასო მოსამზადებელი ცენტრი შეიქმნება, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ აბიტირებლებს ეროვნული გამოცდებისთვის მოამზადებს. ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა თსუ-ში აბიტირებლებთან შეხვედრისას განაცხადა. მინისტრმა სამშვიდობო ინიციატივის — „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი აბიტირებლების მომზადების პროგრამის პრეზენტაცია გამართა.

პროგრამის პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, სახელმ-

წიფო მინისტრის აპარატისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, აბიტირებლები ორლოკაციაზე შეძლებენ მომზადებას თბილისსა და ზუგდიდში. „ძალიან საინტერესო პროგრამაა. სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სასწავლო მასალით, საცხოვრებელი პირობებით, სწავლებით. ამის შემდეგ მათი საშუალება ექნებათ ადაპტირებული ტესტი ჩააბარონ, რომელიც საშუალებას მისცემს არჩეულ უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძონ სწავლა“, — აღნიშნა რექტორმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის თქმით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს ძალიან რთულ პირობებში უწევთ



სწავლა და, სწორედ ამიტომ, აუცილებელია უფრო მეტი ხელშეწყობა, რათა მომავალში ისინი წარმატებულად იყვნენ. „უფასო მოსამზადებელი ცენტრი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებელი აბიტირებლებისთვის შეიქმნება. იმის გათვალისწინებით, რომ მათ ძალიან რთულ პირობებში უწევთ სასკოლო განათლების მიღება გალსა და ახალგაზრდობაში, სადაც მათ, ფაქტობრივად, არ ეძლევათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, სახელმწიფო მსურველებს შესთავაზებს სრულიად უფასო, უგამოცდო მოსამზადებელ ცენტრს. ცენტრში ისინი სხვადასხვა სასურველ საგანში მოემზადებიან და შემდგომ უკვე გამარტივებული წესით მოხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში“, — განაცხადა მინისტრმა.

როგორც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნათია ზედგენიძემ

აღნიშნა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტირებლების მომზადებასა და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს.

„ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალგაზრდების სასკოლო განათლება არ შეესაბამება ეროვნული გამოცდების მოთხოვნებს და, სწორედ ამიტომ, ძალიან რთულია ამ გამოცდების ჩაბარება. ეს პროგრამა კი ამ ახალგაზრდებისთვის იქნება კარგი შანსი“, — აღნიშნა სტუდენტმა დარჩი ახვლედიანმა.

პროგრამის საპილოტე ვერსია 2019 წლის თებერვლიდან ამოქმედდება, ხოლო ამავე წლის სექტემბრიდან სრული კურსი შევა ძალაში. გარდა ამისა, რომ პროგრამა და ახალგაზრდების განათლება მთლიანად დაფინანსდება, გათვალისწინებულია მათი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაც.

ნომერში

- სატელევიზიო ინდუსტრიაში ჩართვის საუკეთესო გზა 83. 2
- თბილისში 3000 სტუდენტზე გათვლილი ახალი სტუდენტური ქალაქი აშენდება 83. 2
- ფინანსთა მინისტრის შეხვედრა სტუდენტებთან (აქცენტი - ჭარბვალიანობის პრობლემა) 83. 3
- სენატის არჩევნები თსუ-ში 83. 3-4
- თსუ-ში VII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა აირჩიეს 83. 3-4



83. 3-4



■ რამდენად გამართლდა თსუ-მ პირველკურსელთა მოლოდინები 83. 5

■ ახალი სახე(ლი) ამერიკისმცოდნეობის მიმართულებიდან 83. 10

■ არაქართულენოვან სტუდენტთა ოცნების პროგრამა და რეალიზებადი იდეები 83. 11

სტუდ-მსიქი 83. 8-9

■ ნარკოდანაშაული და სისხლის სამართლის პოლიტიკა (ქართულ-გერმანული კონფერენცია) 83. 12

■ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა კარლ კაუცის თვალთ 83. 13

■ ირაკლი კოფხანაძის ახალი წიგნი თაროზე – გლობალური ეკონომიკა: პოსტ კრიზისიდან მდგრად განვითარებამდე 83. 13

■ „14 გზა“ - ისტორიები აფხაზეთზე 83. 14

■ „ალბინიდა 2018“-ს თსუ-ის ეკომოლაშქრეებიც შეურთდნენ 83. 14



83. 14



საბალავიო ინდუსტრიაში ჩართვის საუბათესო გზა

ნაბო ობოლაძე

მედიისა და ტელევიზიონების საზოგადოებრივი კოლეჯი გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში მიხეილ ჩხენკელი, თსუ-ის პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით: „თსუ-ის ბაზაზე გახსნილი კოლეჯი არის კვალიფიციური სკოლა, რომელიც წლების განმავლობაში ზრდიდა ჟურნალისტების თაობებს. კარგია, რომ უკვე ბმა არის უნივერსიტეტთან; ახალგაზრდების მხრიდან ინტერესი ძალიან დიდია. ეს არის პროფესიული სასწავლებელი, რომლის დამთავრების შემდეგაც ახალგაზრდებს ექნებათ შანსი — სწავლა გააგრძელონ ბაკალავრიატის საფეხურზე. სწორედ ამ გზით უნდა განვითარ-

დეს პროფესიული განათლება საქართველოში; დულური განათლების ის ელემენტები, რომელიც დაარსების დღიდან იყო ჩადებული ამ კოლეჯში და დღესაც ძალიან მძლავრად არის წარმოდგენილი“.

„ჩვენი კოლეჯი ახალგაზრდებს სთავაზობს 7 საგანმანათლებლო პროგრამას, საიდანაც, სურვილისამებრ, აირჩევენ ერთს. პროგრამები ორნლიანია, მისი დასრულების შემდეგ სტუდენტები აიღებენ სახელმწიფო დიპლომს, რომელიც შეესაბამება უმაღლესი პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურს. კოლეჯში სტუდენტებს აქვთ რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ კარგი განათლება მიიღონ. აქ მუშაო-

ბენ პრაქტიკოსი პედაგოგები, გვაქვს შესაბამისი ტექნიკა“, — განაცხადა მედიისა და ტელევიზიონების საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა ზურაბ ოშხენელმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელევიზიონების საზოგადოებრივი კოლეჯი 2018 წლის გაზაფხულზე დაფუძნდა; კოლეჯმა ახალი სტატუსით გაიარა ავტორიზაცია და 120 პროფესიული სტუდენტი კონკურსის წესით ჩაირიცხა შემდეგ მოდულურ პროგრამებზე: ტელერეჟისურა, საოპერატორო ხელოვნება, ვიდეო მონტაჟი, სატელევიზიო გრაფიკა, ფოტოგრაფია, ტელერადიო წამყვანი და რეჟორტიორი.

თსუ-ის მედიისა და ტელევიზიონების საზოგადოებრივი კოლეჯი იმ პირველი სატელევიზიო სკოლის ბაზაზე დაფუძნდა, რომელიც კოლეჯის ამჟამინდელი დირექტორის ზურაბ ოშხენელის ინიციატივით ათეული წლების წინ დაარსდა და სხვადასხვა სახელწოდებითა და სტატუსით 1989 წლიდან არსებობს.

„პროფესიული განათლება, ჩემი აზრით, არის საუკეთესო



ხოლაჟის დასრულების შემდეგ საბალავიო ინდუსტრიაში ჩართვის საუბათესო გზა უნდა გახდეს.



სო შანსი, რომ კონკრეტული პროფესია კარგად აითვისო, დასაქმდე და საფუძველი ჩაუყარო კარიერულ წინსვლას. ამ კოლეჯის ერთ-ერთი კურსდამთავრებული ვარ. მაშინ სხვა სახელი ერქვა — სატელევიზიო-სასწავლო ცენტრი. ის გამოცდილება, რაც ამ 30 წლის განმავლობაში დააგროვა კოლეჯმა, არის საუკეთესო საშუალება, რათა მომავალში, ახალი კარგი კადრები გაზარდოს და ჩართონ ისინი სატელევიზიო ინდუსტრიაში“, — აღნიშნა ჟურნალისტმა გენო ოსიყმაშვილმა.

სხვადასხვა წლებში კოლეჯის ბაზაზე ხორციელდებოდა სკოლისგარეშე სატელევიზიო

პროგრამები; საშუალო-პროფესიული პროგრამები; უმაღლესი პროფესიული პროგრამები; ხუთსაფეხურიანი საგნობრივი პროფესიული პროგრამები; მოდულური პროფესიული პროგრამები. ამასთან, კოლეჯი ფუნქციონირებდა საყმაწვილო სატელევიზიო სტუდიის, საყმაწვილო სატელევიზიო რესპუბლიკური ცენტრის, ტელეპროფილური სკოლის, სატელევიზიო ლიცეუმის, მედიისა და ტელევიზიონების კოლეჯის, სატელევიზიო ხელოვნების უმაღლესი სკოლის და სატელევიზიო სასწავლო ცენტრის სტატუსებით.



თსუ-ის ბაზაზე გახსნილი ხოლაჟი არის ქვალიფიციური სკოლა, რომელიც წლების განმავლობაში ზრდიდა ჟურნალისტების თაობებს.



II კორპუსში სარემონტო სამუშაოების ნაწილი უკვე დასრულდა

ნაბო ობოლაძე

თსუ-ის II კორპუსში სარემონტო სამუშაოების ნაწილი უკვე დასრულდა. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესი უკვე II კორპუსში მიმდინარეობს. რაც შეეხება იურიდიულ ფაკულტეტს, მათთვის II კორპუსში სასწავლო პროცესის დაწყება მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოდან იქნება შესაძლებელი, რადგან ამ დროისთვის შიდასარემონტო სამუშაოები უკვე დამთავრდება. თუმცა,

თსუ-ის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ლაშა სალინაძის თქმით, საბოლოოდ იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციის გადასაწყვეტი იქნება II კორპუსში სასწავლო პროცესის ნოემბრის ბოლოდან აღადგინენ თუ მეორე სემესტრიდან.

„II კორპუსის სარემონტო სამუშაოები უკვე აქტიურ ფაზაში გადასული. ნოემბრის ბოლომდე დასრულდება ფანჯრების შეცვლის სამუშაოები, გადახურვა და სველი წერტილების რემონტის ნაწილი. ცენტრალური გათბობის სისტემა სრულიად შეიცვალა და გათბობა ჩართუ-

ლია. იანვრის ბოლომდე უნდა დასრულდეს კორპუსის გვერდითა და უკანა ფასადის მოპირკეთება. სველი წერტილებისა და საკანალიზაციო სისტემის შეკეთების პროცესი დაზიანებული სართულშუა გადახურვების რემონტმა გაახანგრძლივა“, — აღნიშნა თსუ-ის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ლაშა სალინაძემ.

თსუ-ის II კორპუსის სარემონტო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „დიკა 2010“ ახორციელებს. სატენდერო ღირებულებამ 5 192 000 ლარი შეადგინა.



თბილისში 3000 სტუდენტმა გათვლილი ახალი სტუდენტური ქალაქი აშენდა



თბილისში ახალი სტუდენტური ქალაქი აშენდა — ამის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მიანოდეს.

სტუდენტური ქალაქის მშენებლობისთვის ადგილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოყოფს. ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი

სტუდენტური ქალაქი თსუ-ს მალღივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება.

პროექტში გათვალისწინებულია როგორც საერთო და ინდივიდუალური ოთახები, ასევე ცენტრალური და საერთო სამზარეულოები, რეკრეაციული და სოციალური სივრცეები, ბიბლიოთეკები, სპორტული დარბაზები, აუზები და მულტი-პროფილური გარე მოედნები. კამპუსს ეყოლება 24 საათიანი დაცვისა და დასუფთავების სამსახურები.

ფინანსთა მინისტრის შეხვედრა სტუდენტებთან აქსენტი – ჭარბვალთანობის პრობლემა

რა ხდება გლობალურად ეკონომიკაში, როგორ იცვლება ბიზნეს-მოდელები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმწიფოები და, მათ შორის, საქართველო — ამ მიმართულებით და სხვა საინტერესო თემებზე ისაუბრა ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ასევე, საერთაშორისო ეკონომიკური სკოლის სტუდენტებთან შეხვედრისას.



და კარგი დიალოგი. ეს ის ფორმატია, რომელიც, ალბათ, მისაბაძია ბევრისთვის. თუ ჩვენი მთავრობის პრინციპი არის ღიაობა, ეს უპირველესად ღიაობაა სტუდენტობასთან, ჩვენს მომავალთან, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

„მნიშვნელოვანია მთავრობის კონტაქტი აუდიტორიასთან და განსაკუთრებით სტუდენტებთან, საჭიროა, მთავრობამ კითხვებს უპასუხოს, რომელიც გვიგროვდება სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ფინანსთა მინისტრმა ამომწურავად უპასუხა კითხვებს, კარგად გვაჩვენა ის პოზიტიური ნაწილი, რომელსაც მოიაზრებს ეს ინიციატივა, თუმცა მან ხაზი გაუსვა ასევე უარყოფით მხარესაც“, — აღნიშნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი მიქელაძემ.

„მთავრობის წარმომადგენლების პასუხები საზოგადოებაში არსებულ კითხვებზე ყოველთვის საინტერესოა და კიდევ უფრო საინტერესოა, როდესაც გარკვეული სპეციფიკური პრობლემის სტუდენტებს ზედმიწევნით შესაბამისი მინისტრები. ვთვლი, რომ ძალიან ნაყოფიერი შეიძლება გამოდგეს ეს შეხვედრა მათთვის, ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ახსნა-განმარტებები იმ კითხვებზე, რომელიც დაგვიგროვდა დროთა განმავლობაში“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტუდენტმა ანა მჭავანიძემ და დასძინა, რომ მსგავსი შინაარსის შეხვედრები სხვადასხვა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ჭარბვალთანობის პრობლემის მოგვარების მიზნით მთავრობის მიერ გატარებულ ახალ ინიციატივაზე. როგორც მან აღნიშნა, ჭარბვალთანობა დღეს ერთ-ერთი შემადგენელი ფაქტორია ეკონომიკის განვითარებისთვის. მან კიდევ ერთხელ განმარტა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზები და აღნიშნა, რომ ეს არის დიდი ხნის დაგროვილი პრობლემა, რომლის შედეგადაც ქვეყნის აქტიური მოსახლეობის თითქმის მესამედი აღმოჩნდა ე.წ. „შავ სიაში“. „ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი მოქალაქე გათავისუფლდეს სესხის ტვირთისგან და დაუბრუნდეს ნორმალურ, ჯანსაღ ეკონომიკურ-სოციალურ ცხოვრებას“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

კითხვაზე — არსებობს თუ არა რისკი, რომ მოსახლეობის ნაწილმა კვლავ

დააგროვოს დავალიანება, ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ პასუხისმგებელია დაკრედიტების პირობებში ამ მასშტაბით პრობლემა აღარ დადგება.

„პასუხისმგებელია დაკრედიტების პირობებში აღარ მოხდება ასეთი ტიპის სესხების გაცემა და ამ როლდენობით ვალების დაგროვება, ვინაიდან უამრავი ბარიერი, პირობა და შეზღუდვა დაიდო. ვფიქრობ, ეს არის ერთგვარი პოლიტიკური ნაბიჯი და წლების განმავლობაში დაგროვილი მიწვეული სოციალური მდგომარეობის გასწორების შესაძლებლობა. დღეს, როდესაც ბევრს ვსაუბრობთ ადამიანური კაპიტალის განვითარების შესახებ და ვამბობთ, რომ ადამიანი უმთავრესი კაპიტალია, ბუნებრივია, ამ კაპიტალის აქტივიზაცია, მისი მობილურობის გაზრდა ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას — სწორედ მათ

აქტივობაში დევს ეკონომიკური ზრდის პოტენციალი. შესაბამისად, ამ შრომი-სუნარიანი მოსახლეობის დაბრუნებას ქვეყნის ეკონომიკაში ექნება მნიშვნელოვანი ეფექტი“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

სტუდენტებთან გამართული შეხვედრის შეფასებისას, თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ხაზი გაუსვა ამგვარი ფორმატის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს კარგი შესაძლებლობაა ახალგაზრდებმა უშუალოდ მთავრობის წევრებისგან მოისმინონ ინფორმაცია მათთვის აქტუალურ და საინტერესო თემებზე.

„მინისტრთან შეხვედრაზე ბევრი შეკითხვა დაისვა, გაიმართა ცოცხალი დისკუსია. მნიშვნელოვანია, როდესაც პირველი პირები სახელმწიფოში მტკიცებულ საკითხებზე საუბრობენ სტუდენტებთან. გაიმართა ძალიან გულღია

სენატის არჩევნები თსუ-ში

ნატო ობოლაძე

16 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აირჩია. კენჭისყრის პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. არჩევნებზე დამკვირვებლებისგან საჩივარი არ დაფიქსირებულა.

„ყველა საარჩევნო უბანი 10.00 საათზე გაიხსნა, სენატის არჩევნების კენჭისყრის პროცესი 17.00 საათზე დასრულდა, საარჩევნო კომისიებმა ხმის დათვლის პროცესს წარმატებით გაართვეს თავი. არჩევნებს 23 დამკვირვებელი აკვირდებოდა, მათ შორის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან, არასამთავრობო ორგანიზაციიდან („დემოკრატიული ინიციატივათა ცენტრი“), ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციიდან, ასევე დამოუკიდებელი დამკვირვებლები“, — განაცხადა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საარჩევნო ვაკანსიების რაოდენობა განსაზღვრულია შემდეგნაირად: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — 4, სტუდენტი — 6; ზუსტ და საბუნე-

ბისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — 7, სტუდენტი — 4; იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი 4, სტუდენტი — 4; მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — 4, სტუდენტი — 2; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — 3, სტუდენტი — 3; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — 2, სტუდენტი — 2; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი — 8, სტუდენტი — 5.

სენატში არჩეული წევრები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან

აკადემიური პერსონალი: ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე, ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია, პროფესორი ლევან საბაური, ასისტენტ-პროფესორი მერაბ ხოზობაია; სტუდენტები: ზურაბ აბრამიშვილი, თამარ ბერაძე, თამარ ლაში, კესო მანჯგალაძე, საბა სახვაძე, ირაკლი სიამაშვილი, მათე შვანგირაძე, გიორგი ჯაფოშვილი;

ზუსტ და საბუნე-მეცნიერებათა ფაკულტეტიდან

აკადემიური პერსონალი: ასოცირებული პროფესორი ნათელა არჩვაძე, პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი, პროფესორი ბეჟან თუთბერიძე, პროფესორი ლია მაჭავარიანი, პროფესორი ომარ მუკბანიანი, ასისტენტ-პროფესორი სიმონ ჩხაიძე; სტუდენტები: გიორგი ბილისიშვილი, ლაშა მუმლაძე, ლუკა ონიანი, გიორგი ტაბატაძე;

იურიდიული ფაკულტეტიდან

აკადემიური პერსონალი: ასოცირებული პროფესორი მარინა გარიშვილი, ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი, პროფესორი მაია ივანიძე, ასოცირებული პროფესორი კობა ყალიჩაია. სტუდენტები: ლუკა თურ-



თსუ-ში VII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა აირჩიეს

ნატო ობოლაძე

16 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში VII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა. კენჭისყრის პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. „ყველა საარჩევნო უბანი 10.00 საათზე გაიხსნა და ხმის მიცემის პროცესი 18.00 საათზე დასრულდა. საარჩევნო კომისიებმა ხმის დათვლის პროცესს წარმატებით გაართვეს თავი. არჩევნებზე დამკვირვებლებისგან საჩივარი არ დაფიქსირებულა“, — განაცხადა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ.

ბათუმის VII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ახალი წევრების სიას: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: I კურსი — ალიკ ბადალოვი, ლუკა ბაკურაძე, ელენე დაბრუნდაშვილი, დანი დარჩიაშვილი, თინათინ ლალიაშვილი, მარინა შავიძე, გიორგი ჩიგოგიძე, გვანცა ცინცაძე; II კურსი — თამარ ბერაძე, თამარ ლაში, ნინო ლორთქიფანიძე, სულხან მაჭუტაძე, ლიუდმილა სილაგაძე, კესო ტვილდიანი, გიორგი ჭანტურია; III კურსი — დავით ლომსაძე, ნაილი ონიანი, დავით ხუბულავა; IV კურსი — გიორგი ბერაძე, საბა სახვაძე, გიორგი ჯაფოშვილი.

ბათუმის VII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ახალი წევრების სიას: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: I კურსი — ალიკ ბადალოვი, ლუკა ბაკურაძე, ელენე დაბრუნდაშვილი, დანი დარჩიაშვილი, თინათინ ლალიაშვილი, მარინა შავიძე, გიორგი ჩიგოგიძე, გვანცა ცინცაძე; II კურსი — თამარ ბერაძე, თამარ ლაში, ნინო ლორთქიფანიძე, სულხან მაჭუტაძე, ლიუდმილა სილაგაძე, კესო ტვილდიანი, გიორგი ჭანტურია; III კურსი — დავით ლომსაძე, ნაილი ონიანი, დავით ხუბულავა; IV კურსი — გიორგი ბერაძე, საბა სახვაძე, გიორგი ჯაფოშვილი.

ბათუმის VII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ახალი წევრების სიას: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: I კურსი — ალიკ ბადალოვი, ლუკა ბაკურაძე, ელენე დაბრუნდაშვილი, დანი დარჩიაშვილი, თინათინ ლალიაშვილი, მარინა შავიძე, გიორგი ჩიგოგიძე, გვანცა ცინცაძე; II კურსი — თამარ ბერაძე, თამარ ლაში, ნინო ლორთქიფანიძე, სულხან მაჭუტაძე, ლიუდმილა სილაგაძე, კესო ტვილდიანი, გიორგი ჭანტურია; III კურსი — დავით ლომსაძე, ნაილი ონიანი, დავით ხუბულავა; IV კურსი — გიორგი ბერაძე, საბა სახვაძე, გიორგი ჯაფოშვილი.



სამაგი სავარცხლის სპექტროსკოპია – ბაჩანა ლომსაძის მორიგი გამოგონება

ბაჩანა ლომსაძე

ამერიკაში მოღვაწე ქართველმა ფიზიკოსმა, თსუ-ის კურსდამთავრებულმა ბაჩანა ლომსაძემ მორიგი ნარმატება მი-აღწია. მისმა გამოგონებამ, რომელიც შეეხება სამაგი სავარცხლის სპექტროსკოპიას, მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. 22 ოქტომბერს სტატია — „სამაგი სავარცხლის სპექტროსკოპია“ (*“TRI-COMB SPECTROSCOPY”*), ბაჩანას პირველი ავტორობით, ზღვრული იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალ „Nature Photonics“-ში გამოქვეყნდა. ნაშრომის აქტუალობიდან გამომდინარე, ნარმომადგელობითი კონკურსის საფუძველზე და რედაქტორის გადაწყვეტილებით, ბაჩანას ნაშრომი პრესტიჟული ჟურნალის გარეკანზე გამოტანილი.

რა არის სამაგი სავარცხლის სპექტროსკოპია?

თანამედროვე ლაზერული სპექტროსკოპიის მომავალი სიხშირული სავარცხლის გარეშე წარმოდგენილია. სიხშირული სავარცხლები განეკუთვნებიან სინათლის წყაროს, რომელთაგანაც თითოეული შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც უამრავი ულტრა-სტაბილური ლაზერების ერთობლიობა და რომელთა სპექტრის სურათი შედგება ათათასობით (თუნდაც მილიონი), თანაბრად დაშორებული სპექტრული ხაზებისგან. ამ სინათლის წყაროს შექმნა/განვითარება, როგორც ეს ხაზგასმული იყო 2005 წლის ნობელის პრემიით ფიზიკაში, განეკუთვნება 21-ე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას. მას გააჩნია უდიდესი ფუნდამენტური მნიშვნელობა — მაგალითად, ადრე შეუძლებელი ატომური და რთული მოლეკულური ალგორითმების დონების განცალკევა-გარჩევა, ასევე პრაქტიკული გამოსავალი — მაგალითად, უცნობი ნარევისაგან შედგენილი ნივთიერებების ინდენტიფიცირება დიდი გარჩე-

ვისუნარიანობით. მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, თითოეულ ნივთიერებას აქვს თავისი მახასიათებელი შთანთქმის სპექტრები, ისევე, როგორც ყველა ადამიანს გვაქვს ჩვენი მახასიათებელი თითის ანაბეჭდები. სიხშირული სავარცხელი საშუალებას იძლევა ამ ნივთიერების ინდენტიფიცირებას მათი თითის ანაბეჭდების სკანირებით.

სიხშირეთა სავარცხლების შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ შეიქმნა ორმაგი სავარცხლის სპექტროსკოპიის მეთოდი (*dual-comb spectroscopy*), რომელიც საშუალებას იძლევა, ჩატარდეს ზემოთ აღნიშნული კვლევები არა მარტო დიდი გარჩევის უნარიანობით, არამედ მოკლე დროებში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული მიზნებისთვის, მაგალითად მედიცინაში, სხვადასხვა დიაგნოზის დასადგენად (ვთქვათ, ადამიანის ამონასუნთქ ჰაერში არსებული შემადგენლობის დეტექტირება). ამავდროულად, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მომწამვლელი ნივთიერების დასადგენად გარემოში.


მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომით მოხერხდა მრავალი ფიზიკური ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა, მას აღმოაჩნდა რიგი ნაკლოვანებები: კერძოდ ამ მეთოდით შეუძლებელი იყო ნარევი არსებული ნივთიერებების დადგენა დიდი საიმედოობით, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვადასხვა ნივთიერების სპექტრები გაგანიერებულია (სხვადასხვა გარემოს ფაქტორების გამო) და ერთმანეთზე გადაფარული. ზემოთ აღნიშნულ მაგალითს რომ შევადაროთ, ეს იგივეა, რაც ადამიანების (10-100 ადამიანის) ინდენტიფიცირება რომ გვიწოდებს მათი თითის ანაბეჭდებზე დაყრდნობით იმ პირობებში, როცა მათი ეს ანაბეჭდები ერთმანეთზე ზედდებულა.

ამ სირთულეების ფონზე ბაჩანა ლომსაძის მიერ შეთავაზებული იქნა ნოვატორული მიდგომა, რაც გულისხმობდა — ორმაგი სიხშირული სავარცხლის მეთოდის შერწყმას მრავალგანზომილებიან კოპერენტულ სპექტროსკოპიასთან (*MDCS*). ასეთი ახალი მეთოდის შექმნის იდეამ, კვლევის ამ სფეროში, რევოლუციური ნახტომი გამოიწვია, რადგან ბაჩანას მიერ შეთავაზებული მეთოდი, ნივთიერების სხვადასხვა ფიზიკური პროცესების შესწავლაზე დაყრდნობით,

საშუალებას იძლევა ერთმანეთზე ზედდებული სპექტრების განცალკევებისა და, შესაბამისად, უპრეცედენტოდ მაღალი სიზუსტით და საიმედოობით ინდენტიფიცირებისა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია პრაქტიკული მიზნებისთვის. ეს მიგნება აღიარებულ იქნა დარგის სპეციალისტების მიერ და აისახა სხვადასხვა სამეცნიერო სიახლეში. მათ შორის, რამდენიმე თვის წინ, ბაჩანა ლომსაძის პირველი ავტორობით, გამოქვეყნდა ნაშრომი უმაღლესი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალ „SCIENCE“-ში.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ მიღწევას, როგორც ჩვენთან საუბარში ბაჩანა ლომსაძემ აღნიშნა, ის შეეხება სამაგი სიხშირული სავარცხლის სპექტროსკოპიის შექმნას: „ჯერ კიდევ ამ კვლევათა წარმართვის დროს დანახვა საკითხი — რატომ უნდა გავჩერებულიყავით ორზე და რა უპირატესობას შესძენდა მესამე სიხშირული სავარცხელი ჩემ მიერ გამოგონებულ მეთოდს? როგორც ჩემი გათვლები აჩვენებდა, სამი სიხშირული სავარცხლით შესაძლებელი იქნებოდა ნივთიერებათა ინდენტიფიცირება არა მარტო მაღალი სიზუსტით და საიმედოობით, არამედ უმოკლეს დროებში, კომპაქტური აპარატურით და, რაც მნიშვნელოვანია, დისტანციურად. Science-ში სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვეში მოვახერხე ახალი, სამი-სიხშირული სავარცხლის მეთოდის შექმნა და დემონსტრირება, მათ შორის, პრაქტიკული მიზნებისთვის. ამ მეთოდის გამოყენებით ამიერიდან შესაძლებელი ხდება მომწამვლელი და ასაფეთქებელი ნივთიერების დეტექტირება მოხდეს წყაროსგან ძალიან მოშორებით, სულ რაღაც ნახევარ ნაშუაზე ნაკლებ დროში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ჩემი ეს უდიდესი მიღწევა, ასევე პირველი ავტორობით, აღიარებულ იქნა ზღვრული იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალ „Nature Photonics“-ში შრომის გამოქვეყნებით“, — აღნიშნა ბაჩანა ლომსაძემ.

აქვე ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „Nature Photonics“-ის რედაქციის მიერ მიწვეულ იქნა ექსპერტ-მეცნიერი, რომელსაც დაევალია ბაჩანა ლომსაძის შრომის შესახებ პოპულარულ ენაზე დაეწერა მიმოხილვითი



სტატია, რაც ასევე დიდი წარმატებაა, რადგან ამ ტიპის სტატიის დაწერა რედაქციის მიერ მხოლოდ გამორჩეულ ნაშრომებს ერგებათ ნილადა.

მიუხედავად გამოქვეყნებიდან მოკლე დროის გასვლისა, შრომამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რაზეც მეტყველებს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული დაახლოებით 25-მდე მილოცვა. ეს ფაქტი მასშტაბურად აღინიშნა სანტა კლარას უნივერსიტეტშიც (კალიფორნია, აშშ), სადაც ბაჩანა ლომსაძე პროფესორად აირჩიეს რამდენიმე თვის წინ.

„მართალია ტკბილეული არ მიყვარს, მაგრამ სამახსოვრო ტორტიც კი გამოაცხვეს ამ ფაქტის აღსანიშნავად. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ბევრი მილოცვა მივიღე ჩემი ქვეყნიდან — მეგობრებიდან, ნათესავებიდან და ჩემი თსუ-ის პედაგოგებისგან, რისთვისაც ყველა მათგანს უდიდესი მადლობა მინდა გადაუხადო“, — აღნიშნა ბაჩანა ლომსაძემ ჩვენთან საუბარში.

სტუდენტური ჯონაურსი — „პიგმალიონი“

ნატო ოზოლაძე

თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ორგანიზებით სტუდენტური კონკურსი — „პიგმალიონი“ დაიწყო. კონკურსის მთავარი მიზანია ანტიკური კულტური-

სა და ლიტერატურის პოპულარიზაცია, სტუდენტებისათვის ბერძნულ-რომაული თარგმანების გაცნობა და ახალგაზრდებში ნიგნიერების დონის ამაღლება. კონკურსი 4 ეტაპად ტარდება. თითოეული ეტაპის ფარგლებში მათ ანტიკური ლიტერატურიდან შერჩეული ერთი ავტორის შემოქმედების წაკითხვა და სპეციალურად მომზადებულ კითხვარზე პასუხის გაცემა ევალებათ. „პიგ-



მალიონის“ I ეტაპი 16 ნოემბერს გაიმართა, რომელშიც როგორც თსუ-ის, ასევე თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის 40-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. პირველი ტურისთვის კონკურსის მონაწილეებმა ჰომეროსის „ილიადა“ წაკითხეს, მეორე ტურში კი ევრიპიდეს ტრაგედიებს გაეცნობიან.

„კონკურსანტები პროექტისათვის ანტიკური ლიტერატურიდან შერჩეულ თარგმანებს 8 კვირის განმავლობაში წაკითხავენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორთა მხარდაჭერა, კერძოდ, საკონკურსო კომისიის წევრები არიან თსუ-ის ემერიტუს პროფესორი, აკადემიკოსი რისმაგ გორდენიანი, პროფესორი ნანა ტონია, ასევე პროფესორები რუსუდან ცანავა და მანანა ფხაკაძე. კონკურსი მოიცავს 4 ტურს და დასრულდება 28 დეკემბერს. 28 დეკემბერს გამოვლინდება საუკეთესო შედეგების მქონე სამი გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდებიან კომპიუტერული მაღაზიის ვაუჩერებით — I ადგილის მფლობელს 800 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი გადაეცემა, II ადგილის — 400 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი, III ადგილზე გასულს კი 200 ლარიანი ნიგნების მაღაზიის სასაჩუქრე ვაუჩერი; აღსანიშნავია, რომ კონკურსი „პიგმალიონი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება“, — განაცხადა კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტმა, პროექტის ავტორმა მარიამ კალაძემ.



მარიამ კალაძე

თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრე უკვე არაერთი წელია ფუნქციონირებს და სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებას უწევს ორგანიზებას, მათ შორის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, ახორციელებს კინოკლუბის პროექტს და ა.შ.





აქ ვინმეს მონა ხომ არ სჭირდება? ანუ ცოტა რამ „პრომო გოგონების“ შესახებ

● მა-მ გვ-და

ლიც ხალხს უნდა შესთავაზო;
4. სამსახურის პირველი დღე აგი-
ყვანეს! ბედნიერი მიუყვები გზას შენი
პირველი სამსახურისკენ. ერთ-ერთ სა-
ვაჭრო ცენტრში გგზავნიან. შორსაა. იქ
ჯერ არ ყოფილხარ. მას შემდეგ, რაც
ხუთ ადამიანს ჰკითხე, სამ საიტზე მოი-
ძიე და ოთხი ტრანსპორტი გამოიცვალე,
სანუკვარ ადგილს მიაღწე. ცდილობ,
ენტუზიაზმი შეინარჩუნო და სანდომი-
ანი ღიმილით გაუნოდო ხალხს სარეკლამო
ფლაერი — ხალხს, რომელიც ძალიან
დაღლილია; ხალხს, რომელიც გიბღვერს;
ხალხს, რომელსაც „ფეხებში ედები“;
ხალხს, რომელიც შენსავით ექვსი საათი
არ დგას ერთ ადგილზე; ხალხს, რომელსაც,
შენგან განსხვავებით, თბილად აცვია,
შენ კი გაფრთხილებული ხარ, რომ ბრენ-
დირებული მაისური ქურთუკით არ უნდა
დაფარო. სამუშაო დღის დასასრულს
კვლავ გამოიცვალე ოთხი ტრანსპორტი
და სახლში მიხვედი. ენთუზიაზმი გაქრა.
რთული დღე იყო. „არა უშავს, სამაგიეროდ
საკუთარი შემოსავალი მექნება“, —
თავს იიმედებ და იძინებ. ღამე ფიქრობ,
რას მოგჩერებოდა ის ორი ბიჭი იმ დღეს,
ან მოხუცმა ქალმა რატომ გკითხა: „შვი-
ლი, პატრონი არ გყავსო?“ სევდიანდები.
ეს ხომ სამსახურის პირველი დღე იყო!
5. ხელფასის დღე — იმაზე საამო რა
უნდა იყოს, როცა საკუთარი შრომის შე-



დეგს ხედავ! აი, შენი პირველი ხელფასი!
ო, რამდენი გეგონა 300 ლარი! იხსენებ,
რა გამოიარე: რამდენი საათი იდექი ფეხ-
ზე, რამდენ დამცირებას იტანდი „სწერ-
ვა“ უფროსისგან, პირველივე დღეს რომ
გისაყვედურა — თმის შეჭრა როგორ
გაბედავ, მაგის გამო აგიყვანეთო; იხსე-
ნებ უკან ადევნებულ მამაკაცებს და შენს
მცდელობას — პირველივე სუპერმარ-
კეტისთვის შეგეფარებინა თავი; იხსენებ
ხალხს, რომელსაც ეცოდებოდი და ხალხს,
რომელიც ბოლმინი თვალით გიმზერდა.
რატომ აბრაზებდა მათ შენი იქ ყოფნა?!
— არ იცი. შეუფასებელი არ ყოფილა
შენი შრომა, ის ძალიან იაფად შეაფასეს.
პრომო — ეს ის არის, რითაც იწყებენ
ხოლმე და ცდილობენ გაუკვალავ გზაზე
საკუთარი ნაკვალევი დატოვონ. ქეთიმაც
ამით დაიწყო: „უნდა დამეწყო, სხვა გზას

ვერც ვხედავდი. ამიყვანეს. ჰო, გამოცდი-
ლების გარეშე. გამიკვირდა, მაგრამ დღეს
არ მიკვირს. გამოუცდელები ყოველთვის
მართლები, საქმის ბოლომდე მიმყვანე-
ბი და პატიოსანი, გულწრფელი მონები
ვართ“.
ქეთიმ პირველივე კურსიდან დაიწყო
მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ უამ-
რავი დაბრკოლება გამოიარა და ბევრი
რამის ატანა მოუხდა, პრომო მუშაობის
პერიოდი მაინც კარგად ახსენდება. თვ-
ლის, რომ ბევრი რამ ისწავლა: როგორ
უნდა მიუდგე თითოეულ ადამიანს, რომ
შენ მიმართ დადებითად განწყობილი
დაიყოლიო რაიმეზე, როგორ გადაანაწი-
ლო დრო ისე, რომ სწავლა და სამსახური
ერთმანეთს შეუთავსო და ა.შ.: „საამყოფა,
როდესაც ხარ/იყავი პრომო და შეგიძლია
ამაყად გაიარო და ფლაერები გამოართვა

უკვე შენს პატარა მე-ს, რომელმაც ახლა
დაიწყო მუშაობა, ძალიან ბევრი მიზანი
აქვს და ჰგონია, რომ ამით უკვე გადადგა
პირველი ნაბიჯები“.
თუ ერთხელ მაინც გიმუშავია პრო-
მო და ზემოთ ნათქვამიდან არაფერი
გამოგიცდია, ჩათვალე, რომ ძალიან, ძა-
ლიან გაგიმართლა. გაგიმართლა, თუ
გყავს კარგი უფროსი, გაქვს რეალურად
ნახევარგანაკვეთიანი სამსახური (და არა
შვიდსაათიანი სამუშაო დროით), არ გცი-
ვა, არ გშია და ხელფასიც იმდენია, რომ
ლექციების პერიოდული გადადენა გი-
ღირს. ასე ძალიან იშვიათად უმართლებთ
ხოლმე.
იქნებ პრობლემის გადაჭრა სტუდენ-
ტებსვე შეგიძლია? იქნებ ბოიკოტი უნდა
გამოუცხადოთ კომპანიებს, რომლებიც
ადამიანის შრომას შესაბამისად არ აფა-
სებენ? არ ვიცი. ყოველთვის გამოჩნდე-
ბა ერთი, ვინც ნახევარგანაკვეთიანად
წოდებულ სრულგანაკვეთიან სამუშაოს
დათანხმდება და ამაში კაპიკებს აიღებს,
რადგან სხვა გზას ვერ ხედავს. კომპანიებ-
მა კი კარგად იცინა, რომ სტუდენტს სხვა
გზა არ აქვს. ჩვენ ხომ „მართლები, საქ-
მის ბოლომდე მიმყვანები და პატიოსანი,
გულწრფელი მონები ვართ!“
**მარიამ ტურქილაძე,
თსუ-ის სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სტუდენტი**

აღამიანი, როგორც თავი ქორეოგრაფიას მიუძღვნა

„გვიყვარდეს, გვიყვარდეს,
გვიყვარდეს ერთმანეთი“, —
ეს არის ანსამბლის
მთავარი ლოზუნგი, შეძახილი, რომ-
ლითაც ერთმანეთს ვაძლიერებთ, რომ-
ლითაც ინება ჩვენი კონცერტები და
იქმნება მუსიკის მყარების ერთიან
სივრცეში მოსაქცევად“, — ეს სიტყვ-
ები ეკუთვნის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ანსამბლის ხელმძღ-
ვანელს დავით კიკვაძეს, რომელიც
უკვე 15 წელია უძღვება 84-წლიანი
ისტორიის მქონე ანსამბლს „უნივერ-
სიტეტი — მფრინავი ქართველების“
შთამომავლობას და დაუღალავად
განაგრძობს საქმიანობას. როგორც
ბატონი დავითი აღნიშნავს, მისთვის
უდიდესი პატივია ანსამბლის ქო-
რეოგრაფობა და დიდ სიამოვნებას
განიცდის, როდესაც საკუთარი მოცეკ-
ვავეების მიერ ანსამბლით ჩატარებულ
კონცერტებს ესწრება.



დავით კიკვაძე 1969 წლის 20 აპრილს
დაიბადა. 14 წლის იყო, როდესაც ცეკვა
დაიწყო და, რაც უნდა გასაკვირი იყოს,
თავადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანსამბლის მოცეკვავე გახლდათ. ანსამბლ
„უნივერსიტეტი“, 1934 წლიდან მოყოლე-
ბული, მრავალჯერ ეცვლებოდა ხელმძღ-
ვანელობა. ჰყავდა ისეთი გამოჩენილი ქო-
რეოგრაფებიც, როგორებიც იყვნენ: ჯანო
ბაგრატიონი, რომან ჭოხონელიძე, იასონ
ზედანიძე. 1983 წლიდან კი, როდესაც და-
ვითი მივიდა ანსამბლში, ქორეოგრაფები
თენგიზ და ბუხუტი ყურაშვილები იყვნენ.
სწორედ აქედან დაიწყო ის, რაც დღემდე
გრძელდება. მრავალი წლის განმავლობა-
ში მოცეკვავის ამპლუაში ყოფნის შემდეგ,
2003 წლიდან, დავითი ანსამბლის ხელმძ-
ღვანელი გახდა და მას შემდეგ მოცეკვავე
სტუდენტებთან ერთად მუხლჩაუხრელად
შრომობს.
ქართული ცეკვა მისთვის ცხოვრების
აზრია. ეს არის ის, რაც მთელი სულითა
და გულით უყვარს. „ცეკვაში ჩანს ქარ-
თული სული, კდემამოსილება, სილადე
და სიამაყე, ჩემი მისდამი დამოკიდებუ-
ლებაც სწორედ ასეთია. ბედნიერი ვარ,
რომ ქართული ცეკვის ქორეოგრაფი მქ-
ვია. ქართული ცეკვა ის, რასაც, ვფი-
ქრობ, რომ არა მხოლოდ მოცეკვავეები
და ქორეოგრაფები, არამედ ყველა ქარ-
თელი უნდა მოუფრთხილდეს და პატივს
სცემდეს, როგორც ქვეყნის ეროვნულ სა-
განძურს“, — ამბობს იგი.
როგორც ბატონი დავითი გვიამბობს,
ანსამბლის სახელწოდების ინიციატორიც
თავადაა. ეს იდეა კი მაშინ მოუვიდა აზ-
რად, როდესაც ერთერთ გასტროლზე,
კონცერტის დასრულების შემდეგ, გაო-
ცვებული იმპრესარიო მივიდა და უთხრა
— „ანსამბლში მფრინავი ბიჭები გყავთ,
ისინი კი არ ცეკვავენ, დაფრინავენ“.
ანსამბლმა თითქმის მთელ მსოფლიო-
ში იმოგზაურა. მათ მიერ შესრულებულ
ცეკვებს მაყურებელი აღფრთოვანებით ხვ-
დებოდა ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში,
აშშ-ში, ლათინურ ამერიკაში, გერმანიაში,
იტალიაში, ნორვეგიაში, ეგვიპტეში, სა-
ბერძნეთში, ავსტრიაში, ნეპალში, პოლო-
ნეთში, უკრაინაში, ჩეხეთში, სლოვაკეთსა
და კიდევ უამრავ სხვა ქვეყანაში.
„შემიძლია ვთქვა, რომ დავით კიკვა-
ძე ანსამბლს „უნივერსიტეტის“ სახე. მი-
ზანდასახული, მოტივირებული და დის-
ციპლინირებული — ეს სამი უმთავრე-
სი თვისება, რომელიც ასე ჭარბადაა ამ
ადამიანში, ანსამბლის უდიდესი წარმატე-
ბის საიდუმლოცაა. არასდროს შევხვე-
დრივარ უფრო კრეატიულ, პირდაპირ და
სასიამოვნო ადამიანს, ვიდრე დავითია“, —
ასე აღწერს ანსამბლის ყოფილი მო-

**ელენა გოლოვნილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი**



ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხედვით აშშ-ის პოლიტიკის ისტორია (1877-2008 წლები)

თემატიკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თსუ-ის კულტურული მემკვიდრეობის დაცვით და დაჯილდოვების მიზნით არსებული უნივერსიტეტის აშშ-ის კონგრესის მიხედვით აშშ-ის პოლიტიკის ისტორია (1877-2008 წლები) სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა. მისი მიზანმიმართული პოლიტიკის ისტორიის შესახებ მასწავლებლის კურსის მიხედვით სტრუქტურულად არსებული უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა. მისი მიზანმიმართული პოლიტიკის ისტორიის შესახებ მასწავლებლის კურსის მიხედვით სტრუქტურულად არსებული უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა.



მარიამ ხატიანი

კონგრესის მიხედვით აშშ-ის პოლიტიკის ისტორია (1877-2008 წლები) სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა. მისი მიზანმიმართული პოლიტიკის ისტორიის შესახებ მასწავლებლის კურსის მიხედვით სტრუქტურულად არსებული უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა. მისი მიზანმიმართული პოლიტიკის ისტორიის შესახებ მასწავლებლის კურსის მიხედვით სტრუქტურულად არსებული უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა.

კონგრესის მიხედვით აშშ-ის პოლიტიკის ისტორია (1877-2008 წლები) სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა. მისი მიზანმიმართული პოლიტიკის ისტორიის შესახებ მასწავლებლის კურსის მიხედვით სტრუქტურულად არსებული უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა. მისი მიზანმიმართული პოლიტიკის ისტორიის შესახებ მასწავლებლის კურსის მიხედვით სტრუქტურულად არსებული უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა.

დალაზე; სახალხო, სამოქალაქო, კულტურულ დიპლომატიკაზე; ეროვნულ უსაფრთხოებასა და სტრატეგიულ კომუნიკაციაზე. სახალხო დიპლომატია სწორედ ის სფეროა, სადაც დიდი ინტერესით ვმუშაობ როგორც აკადემიური, ასევე პრაქტიკული საქმიანობის კუთხითაც. შექმენი ერთ-ერთი პირველი აკადემიური ნაშრომი ქართულ სამეცნიერო სივრცეში საბაკალავრო კვლევის სახით. ვიკვლევდი აშშ-ის სახალხო დიპლომატიის ისტორიას საქართველოში, კონკრეტულად კი კულტურული და სამოქალაქო დიპლომატიის საკითხებს. კვლევის ნარმატივით დასრულებაში დამხმარა ის ფაქტიც, რომ გახდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის მფლობელი მაგისტრანტებისათვის. სახალხო დიპლომატია ჩემი სადისერტაციო ნაშრომის მთავარ თემადაც იქცა, რომელიც უკავშირდება 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის მიმართ აშშ-ის რბილი ძალის თავისებურებებს საქართველოს მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომის მომზადებაში დახმარებას მიწვევთ თანახმდევნელები: კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, სახალხო დიპლომატიის ექსპერტი და მსოფლიოში ნამყვანი სპეციალისტი, პროფესორი ფილიპ სიბი და თსუ-ის პროფესორი ელენე მემქარიაშვილი”, — აღნიშნა მარიამ ხატიანი.

2017 წელს მარიამმა გაიმარჯვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერიან საგარეო პოლიტიკის მკვლევართა გაცვლით პროგრამაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს 17 ქვეყნიდან საუკეთესონი. მათ შორის მარიამი ასაკით ყველაზე პატარა იყო. პროგრამის ფარგლებში, მას შეხვედრები ჰქონდა ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის სამთავრობო და არასამთავრობო წრეებთან, აკადემიურ ცენტრებში, უნივერსიტეტებში, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკებსა და კონგრესში.

სულ ცოტა ხნის წინ კი მარიამი გახდა საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის განვითარების ალუმნი პროგრამის გრანტის მფლობელი. პროექტის სახელია „ქალები და გოგონები საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში“.

დემოკრატიის გახვითლება – აშშ-ის პოლიტიკის ისტორია (1877-2008 წლები)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აშშ-ის კონგრესის მიხედვით აშშ-ის პოლიტიკის ისტორია (1877-2008 წლები) სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა. მისი მიზანმიმართული პოლიტიკის ისტორიის შესახებ მასწავლებლის კურსის მიხედვით სტრუქტურულად არსებული უნივერსიტეტის მიხედვით დამუშავდა და დაჯილდოვდა.



ქტურ ინფორმაციას“, — განაცხადა ავტორმა. წიგნი განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ასევე, აშშ-ის ისტორიის დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის. წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელენე მემქარიაშვილი, რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საგანგებო და სრულფასოვანი ელჩი თედო ჯაფარიძე და მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ბარნოვი.

სახელმძღვანელო აერთიანებს შემდეგ თემებს: პოსტრეკონსტრუქციული ერა კვლავ გაერთიანებულ ამერიკაში; პროგრესივიზმის ერა; 1920-იანი წლები — აყვავების ხანა; დიდი დეპრესია



და „ახალი კურსი“; ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში; მეამბოხე 1960 წლები; ვიეტნამის სინდრომიდან სტაგფლაციის ფენომენამდე; რონალდ რეიგანის კონსერვატიული რევოლუცია და ამერიკის შეერთებული შტატები — მონოპოლარული სამყაროს ლიდერი. წიგნი აგრეთვე გაცნობიერებს ამონადიდებს ამერიკის პრეზიდენტების საინაგურაციო გამოსვლებიდან. ის ქრონოლოგიურად მოგვითხრობს აშშ-ის იმ შიდა და გარე პოლიტიკური მოვლენების, მოძრაობების და აშშ-ის გამორჩეული პოლიტიკოსების მოღვაწეობის შესახებ, რომლებმაც გავლენა მოახდინეს აშშ-ის პოლიტიკის ფორმირებასა და განვითარებაზე. როგორც თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ში სამივე საფეხურზე მიმდინარეობს ამერიკანისტიკის გაძლიერებული სწავლება.

„აშშ საელჩო მოხარულია, რომ თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ახალი წიგნი, რომლის პრეზენტაციაც დღეს გაიმართა, ეხება აშშ-ს დემოკრატიის გაკვეთილებს. წიგნი გამოიცა აშშ-ს საელჩოს მიერ წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ქართველ მკითხველს აძლევს საშუალებას ქართულად გაცნოს ამერიკულ-სამეცნიერო ლიტერატურას“, — განაცხადა საქართველოში აშშ-ს სრულფასოვანი და საგანგებო ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელჩმა ბილ უდვალმმა. აშშ-ს საელჩოს მიერ წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში მალე გამოიცემა სახელმძღვანელო II ტომი — „დემოკრატიის გაკვეთილები — ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია (დასაბამიდან 1877 წლამდე)“, რომელიც პროფესორმა ელენე მემქარიაშვილმა მოამზადა.

არაქართულენოვან სტუდენტთა ოცნების პროგრამა და რეალიზებული იდეები

თამარ ლალიანი

2010 წლიდან ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღეს კვოტირების სისტემა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის: მშობლიურ ენაზე უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, არაქართულენოვანი აბიტურიენტები 1 წლის განმავლობაში ემზადებიან ქართულ ენაში და ენის სათანადოდ ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის აღების შემდეგ ირჩევენ მათთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამას.

კვოტირების სისტემის შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა რაოდენობა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. 2010 წლიდან დღემდე ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი გახდა 2700-ზე მეტი ჩვენი არაქართულენოვანი მოქალაქე. მართო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩაირიცხა 1900-ზე მეტი აბიტურიენტი, პროგრამა წარმატებით გაიარა 1700-მდე სტუდენტი.

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2009 წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით შეიქმნა. ამ პროგრამის გავლის შემდეგ არაქართულენოვანი სტუდენტი შეძლებს თსუ-ში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლას. მას შეუძლია აირჩიოს თსუ-ის ნებისმიერი ფაკულტეტი, ნებისმიერი პროგრამა და გააგრძელოს სწავლა მომდევნო 4 წლის განმავლობაში არჩეულ სპეციალობით.“

სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, 2010 წლიდან დღემდე, ამ პროგრამაზე ყველაზე მეტი სტუდენტი თსუ-ში ჩაირიცხა. მათი უმრავლესობა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანია. მიმდინარე სასწავლო წელს პროგრამაზე 300 სტუდენტი ჩაირიცხა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველწლიურად იზრდება არაქართულენოვანი აბიტურიენტების ინტერესი აღნიშნული პროგრამისადმი. ისინი დიდი პასუხისმგებლობითა და ინტერესით ეკიდებიან ქართული ენის სწავლის საკითხს და თვლიან, რომ ეს ნაბიჯი აუცილებელია ქართულ საზოგადოებაში ღირსეულად ინტეგრირებისათვის.

ქართული ენის შესწავლის გარდა, არაქართულენოვანი სტუდენტები 14 პროგრამის ფარგლებში ეუფლებიან ამა თუ იმ პროფესიას და საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად ყალიბდებიან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) თანამშრომლობით პროგრამის სტუდენტებისთვის დააარსა თსუ-ის ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც არაქართულენოვანი ახალგაზრდების სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაციის პროცესს უწყობს ხელს, — განაცხადა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილემ თეა ქამუშაძემ, რომელმაც პროგრამის მონაწილე აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან სტუდენტებს შეგვახვედრა.

პირველი, რამაც გაგვაოცა და რაც ყველაზე მეტად მოგვხვდა თვალში — მათი მეგობრობა და ერთმანეთთან თბილი დამოკიდებულებაა, და ეს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ფონზე. ისინი ერთმანეთს ამხნევენ და გულშემატიკობავენ. ასეთი ხალასი დამოკიდებულება ქართველი პედაგოგების დამსახურებაა და მოზარდების სწორი ხედვის შედეგიც. ყველა მათგანი საოცარი პასუხისმგებლობის გრძობით გამოირჩევა თავისი მასწავლებლების მიმართ. „საქართველო ჩვენი სამშობლოა და აქედან არსად წავალთ



ეს პროგრამა გვაძლავს ბუნებრივად დასწავლას ქართულ ენაში და სწავლას პროგრამის თანახმად არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.

— აქ ვიცხოვრებთ, აქ ვისწავლით და ჩვენი ქვეყნის სამაგალითო მოქალაქეები გავხდებით“, — ასეთი პათოსით გვესაუბრებიან ისინი საკუთარ თავსა და სამომავლო გეგმებზე.

სუსანა ასატრიანი ახალქალაქის რაიონის სოფელ ხორენიაში დაიბადა და გაიზარდა. სომხურენოვანი სკოლა აქ დაამთავრა, სადაც მხოლოდ 88 მოსწავლე იყო. მის ოჯახში ქართულად არავინ საუბრობს. ენას არც ქართულის მასწავლებელი ფლობდა კარგად და ამას ძალიან განიცდიდა. ბავშვობიდან ოცნებობდა სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეგრძელებინა, არც მშობლებმა გაუწიეს წინააღმდეგობა და დღეს იგი ამ პროგრამის მსმენელია.

„სკოლაში, ჩემს კლასში სულ 4 მოსწავლე ვიყავით. სწავლის გაგრძელება ყველას გვიწოდდა, მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავირჩიე, რადგან მსოფლიოში წარმატებულ უნივერსიტეტებს შორის ღირსეული ადგილი უკავია, პრესტიჟულია და, რაც ყველაზე მთავარია, პირველი უნივერსიტეტია რეგიონში. მინდა, სწავლა გავაგრძელო ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ინგლისური ენის მიმართულებით. ჩემი სოფლის სკოლას ინგლისურის მასწავლებელი არ ჰყავს. ერთი სული მაქვს — სწავლას როდის დავამთავრებ და იქ დავბრუნდები, რათა მოსწავლეებს ინგლისური ენა ვასწავლო და შევავ-



ვარო. მანამდე კი ქართულ ენას უნდა დავეუფლო, კარგად ვისწავლო. მიყვარს ქართული ლიტერატურა, ვცდილობ ქართული წიგნები ვიკითხო. ბოლოს ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი“ წავიკითხე, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართული ფილმებიც მიყვარს და ქართული სიმღერებიც.

ჩემი აზრით, თუ საქართველოს მოქალაქე ხარ და საქართველოში ცხოვრობ, აუცილებელია — ქართული ენა იცოდე — ეს ყველა არაქართულენოვანი ადამიანის ვალია! ქართული ენა პროფესიულ დაოსტატებასა და წარმატების მიღწევაში დამეხმარება“, — ამბობს სუსანა და მომავალს იმედინი თვლით უყურებს.

რუზანა იაჟიანი ნინოწმინდის რაიონის სოფელ ჰეშტიაში ცხოვრობს. სკოლა წარმატებით დაამთავრა და ფლეხის გაცვლითი-სასწავლო პროგრამით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ახლა თსუ-ის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს და სურვილი აქვს — სწავლა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით გააგრძელოს. ფლობს სომხურ, რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებს.

„აქტიური სტუდენტი ვარ. მყავს ბევრი ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, გერმანელი და იტალიელი მეგობარი. ბუნებით ტოლერანტი ვარ. მიყვარს საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობა. ვწერ სტატიებს სხვადასხვა თემაზე და ვოცნებობ მოგზაურობაზე. მინდა, საკუთარი ბიზნესი მქონდეს და მოგების დიდი ნაწილი ქველმოქმედებას მოვახმარო.“

ეს პროგრამა გვაძლავს შანსს ერთმანეთს დავუშვებოდა და სხვადასხვა ეროვნების თანატოლებთან კარგი ურთიერთობები დავამყარო“, — აღნიშნავს რუზანა, რომლისთვისაც სწავლა, დღეს, ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი ფიქრობს, რომ ადამიანს, ვისაც კარგი განათლება აქვს, აუცილებლად წარმატებული იქნება.

ეს პროგრამა გვაძლავს ბუნებრივად დასწავლას ქართულ ენაში და სწავლას პროგრამის თანახმად არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.

ანა ფაშაევამ სართიჭალის მე-2 საჯარო სკოლა დაამთავრა. სართიჭალის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლში ქართულ-ნაციონალურ ცეკვებს სწავლობდა. იგი სტუდენტობის დროსაც არ უღალატებს თავის გატაცებას. პედაგოგთა მისი პროფესიული არჩევანია და იმედი აქვს, კარგი ექიმი გახდება.

„ეს პროგრამა გვაძლავს შანსს ეროვნული გამოცდა იმ ენაზე ჩავაბაროთ, რაზეც ვსაუბრობთ და შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელოთ. ამ პროგრამის მონაწილე სომეხ და აზერბაიჯანელ თანატოლებს კარგი ურთიერთობა გვაქვს. პირადად მე ბევრი სომეხი მეგობარი მყავს, რომლებიც აქ გავიცანი. რადგან ქართულს ვსწავლობ, ქართველ სტუდენტებთანაც ვმეგობრობ“, — ამბობს ანა.

აისუდა კურბანოვა დმანისის რაიონის სოფელ ირგანჩაში დაიბადა. სკოლა აქ დაამთავრა და მისი ოჯახიც აქ ცხოვრობს. სახლში ქართულად არ საუბრობენ, უბრალოდ არ იციან და იმიტომ. აისუდა ამას ძალიან განიცდის და ქართული ენის სწავლაც იმიტომ გადაწყვიტა, რომ თანასოფლელები ქართულად ალაპარაკონ.

„ქართული ენის ცოდნა კომუნიკაციის დამყარებაში დაგვეხმარება, სადაც უნდა ვიყოთ: სამსახურში, უნივერსიტეტში თუ საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილებში. ეს მეტ პატივისცემასაც გამოიწვევს და სამაგალითოც იქნება“, — ამბობს აისუდა, რომელსაც უნდა იურისტი გახდეს და ძალები სამეცნიერო მიმართულებითაც მოისწავლოს.

ტერანა ალახვერდიევა მარნეულის მე-3 საჯარო სკოლა დაამთავრა. მამასთან ქართულად საუბრობს და ამაყობს, რომ საქართველო მისი სამშობლოა. ცდილობს, ქართული კარგად ისწავლოს და ფიქრობს, რომ ყველას უნდა ჰქონდეს შანსი — განათლება მიიღოს. რადგან მამა ბიზნესმენი ჰყავს, უნდა სწავლა ბიზნესის მიმართულებით გააგრძელოს.

„ეს პროგრამა კარგად შედეგინილი და მომზადებულია არაქართველი სტუდენტებისთვის. გულისხმიერი ლექტიონების დახმარებით და ცოდნის გაზიარებით ქართულ ენას უმოკლეს დროში ვეუფლებით. მადლობა მათ ასეთი მხარდაჭერისთვის. სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ერთად ვსწავლობთ და ირგვლივ საოცრად მეგობრული გარემოა. მშობლების მხრიდანაც თანადგომას ვგრძნობ, რადგან მიაჩნიათ, რომ თუ მშობლიური ქვეყნის ენა არ იცი, ღირსეული ადამიანი ვერ იქნები! მიყვარს ეს ქვეყანა და მინდა, ჩემი წარმატებით ვასახელო“, — აცხადებს ტერანა და კედელზე გაკრულ საქართველოს რუკას სიყვარულით ეხება...

ეს პროგრამა აარბავს ბუნებრივად დასწავლას ქართულ ენაში და სწავლას პროგრამის თანახმად არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.



ნარკოდანაშაული და სისხლის სამართლის პოლიტიკა ქართულ-გერმანული ჯონკოორპორაციის

ნაბო მოვლაძე

ნარკოდანაშაულისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური საკითხები ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციაზე განიხილეს. ღონისძიება მრავალპროფილიანი გახლდათ და მის ფარგლებში შედგინდა ქართველი მეცნიერების, პრაქტიკოსი იურისტებისა და მოსამართლეების კვლევები, გერმანელი სამართალმცოდნეებისა და მეცნიერების გამოცდილება, ასევე საქართველოში ნარკოპოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებით ქართველი კანონმდებლების პოზიციები. კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები მიეძღვნა ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებულ მატერიალურ სისხლის სამართლებრივ, კრიმინოლოგიურ ასპექტებს და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკას.



ნარკოტიკული დანაშაულის საგანზე მოხსენება წაკითხა ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი დვალისძემ, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა დანაშაულებრივი ქმედების ობიექტი, როგორც დანაშაულის საგანი და ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე.

პროფესორმა ნონა თოდუამ მიმოიხილა ჯგუფურად ჩადენილი ნარკოტიკული დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა, ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ჩამოყალიბებული ობიექტური, სუბიექტური, ფუნქციონალური და მატერიალურ-ობიექტური თეორიები. მოხსენებელმა განმარტა ჩამოთვლილი თეორიებიდან — თუ რატომ არის მიუღებელი სუბიექტური, წმინდა ობიექტური თუ ფუნქციონალური თეორიის გაზიარება და რატომ უნდა იქნას ქმედების კვალიფიკაციის დროს გამოყენებული მატერიალურ-ობიექტური თეორია.

კონფერენციაზე გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობის თავისებურებებზე, პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებზე, ზოგიერთ შემთხვევაში ნარკოტიკული დანაშაულის გახსნის სირთულეზე, ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებზე მოხსენებები წაკითხეს თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტის პროფესორებმა ბერნდ ჰაინრიხმა, იორგ ქინციგმა და ჰანოვერის პროკურატურის პროკურორმა, დოქტორმა მარკუს ფროისემ. ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები კი განიხილა ასოცირებულმა პროფესორმა მორის შალიკაშვილმა.

ნარკოტიკული დანაშაულის შედარებითსამართლებრივ კვლევას და ნარკოტიკული დანაშაულების გეოგრაფიას მიეძღვნა თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის, პროფესორ გიორგი ლლონტის მოხსენება. მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი — სახელდობრ, ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე აღნიშნულ მოხსენებაში ასისტენტ-პროფესორმა თემურ ცქიტიშვილმა კრიტიკულად გაანალიზა სამართლებრივი სიკეთის კონცეფციასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმული ცალკეული შეხედულებები.

„ნარკოტიკულ დანაშაულებსა და სისხლის სამართლის პოლიტიკაზე ჩატარებული ქართულ-გერმანული კონ-

ფერენცია მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონფერენციის თემა ბოლო პერიოდში აქტუალურია საქართველოში, არამედ იმ მხრივაც, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული სფერო ქართულ სისხლის სამართალში მეცნიერულად ნაკლებად არის დამუშავებული. ამდენად, ჩატარებული კონფერენცია, კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები მომავალში ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის ამ დარგის მეტად განვითარებას საქართველოში“, — განაცხადა კონფერენციის ორგანიზატორმა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა თემურ ცქიტიშვილმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები იყო განხილული ასოცირებული პროფესორის ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისის მოხსენებაშიც, რომელმაც მარისუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკითხის გადაჭრის კუთხით, გაიზიარა, მაგრამ გააკრიტიკა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტაცია.

საქართველოში ნარკოპოლიტიკის რეფორმის პროცესის შესახებ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ წარმოადგინა. მან 2013 წლიდან დღემდე ამ მიმართულებით გატარებულ ცვლილებებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველოში ნარკოპოლიტიკის შესაცვლელად კომპლექსური რეფორმაა საჭირო და ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიცია ჯერ კიდევ 2013 წლის დასაწყისში ამინსტიის დიდ აქტში დაფიქსირდა, როდესაც მსჯავრდებული ნარკომომხმარებლები გათავისუფლდნენ. მომდევ-

ნო ნაბიჯი გახლდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში ნარკოტიკების რეალიზაციისა და მოხმარების სამართლებრივი შედეგების გამიჯვნა და სასჯელში ასახვა.

„ამჟამად ვიმყოფებით მესამე ეტაპზე. მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა, თუ როგორი უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ნაწილში, ხომ არ უნდა მოხდეს მოხმარების სრული ან ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია? სასჯელი და სანქციები, რომელიც არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში მოხმარებისა და კულტივაციის ნაწილში, უკვე ჩაითვალია შეუსაბამოდ. ამ პროცესს ბიძგი მისცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ. ვნუხვარ, რომ დისკუსია გაგრძელდება და სწრაფად ვერ ხერხდება საკანონმდებლო ცვლილებების მიღება. თუმცა, პარლამენტმა მეორე მოსმენით უკვე მიიღო ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ კოდექსებში ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება კანაფის ტიპის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასახვას. ერთ-ერთი სერიოზული საკითხი გახლავთ ნარკოტიკული ნივთიერებების ოდენობები, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია პირის მიმართ გამოყენებულ სასჯელთან, შესაბამისად, კვალიფიკაციისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ სპეციალისტებთან ერთად ვიმუშავებთ და ამ დროისთვის დარჩენილია 5 სახის ნარკოტიკული ნივთიერება, რომელთან დაკავშირებითაც, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა შეთანხმება. პირველი კანონპროექტი საკმაოდ ხარვეზიანი იყო. სამწუხაროდ, ის შეეხებოდა არა მხოლოდ მოხმარების, არამედ რეალიზაციის ნაწილში

გარკვეულ ლიბერალურ მიდგომას, რასაც არ დავეჭირეთ მხარი. ვერ დავეჭერ მხარს რაიმე ტიპის ლიბერალურ მიდგომას, როდესაც საქმე ნარკოტიკების რეალიზაციას ეხება. ვფიქრობ, კანონმდებლობაში ამ მიმართულებით მკაცრი მიდგომა უნდა დარჩეს“, — განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

ეკა ბესელიამ ნარკოპოლიტიკის საკითხებზე სახელმწიფო მიდგომებზე საუბრისას ცალკე გამოყო კანაფის მოხმარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც მთავრობის მიერ მომზადდა და პარლამენტმა მეორე მოსმენით უკვე მიიღო. მისი ინფორმაციით, „მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ კანაფის მოხმარებაზე ყველანაირი სასჯელები გააუქმა, მთავრობამ და პარლამენტმა შეიმუშავა ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომელმაც გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია კანაფის მოხმარება — გარდა პირადი სივრცისა, კანონით იზღუდება ყველა საჯარო სივრცეში, შენობა-ნაგებობების სკვერებსა თუ ბალებში კანაფის მოხმარება“. ასევე, ცალკე სანქციები შემოიღო ფსიქოაქტიური ნივთიერებების თრობის ქვეშ ავტომობილის მართვის შემთხვევებზე, რომელიც დამამძიმებელ გარემოებად განიხილება. ნარკომომხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების და პრევენციის მიზნით, შეზღუდვები 21 წლამდე ასაკის პირებისთვისაც დგინდება.

კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების, თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ორგანიზებით სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა. საორგანიზაციო საკითხებს უშუალოდ კურირებდა თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი თემურ ცქიტიშვილი და თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტის პროფესორი ბერნდ ჰაინრიხი.

ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა მამუკა თავხელიძემ და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის პროექტების მენეჯერმა მაიკე რულინგიმ გახსნეს.

„კონფერენციის თემა იმდენად აქტუალურია, განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების ფონზე, რომ თითოეულ ჩვენგანს გვეხება. ნარკოპოლიტიკის თემას საზოგადოებაში აქტიურად განიხილავენ, მიხარია, რომ ჩვენს პარტნიორებთან ერთად ვასრულებთ საზოგადოების დაკვეთას და ამ მნიშვნელოვან თემაზე მსჯელობას განვაგრძობთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს აღნიშნავს და ეს ღონისძიებაც ამ იუბილეს ფარგლებში ტარდება“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ.

ქართულ-გერმანული კონფერენციის მთავარი მიზანი გახლდათ მეცნიერების, მოსამართლეების, კანონმდებლების, გერმანელი სამართალმცოდნეების დიალოგი ნარკოდანაშაულისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ, რამაც საბოლოოდ ნარკოდანაშაულთან და ნარკომომხმარებასთან მიმართებაში ქართული სისხლის სამართლის სადავო საკითხების დარეგულირებას უნდა შეუწყოს ხელი.

ქართულ-გერმანული კონფერენცია „ნარკოდანაშაული და სისხლის სამართლის პოლიტიკა“ 2 ნოემბერს გაიხსნა და ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.



„14 გზ“ – ისტორიები აფხაზეთში

პარტია ბაროშვილი

„14 გზ“ იტყვის 25 წელი გავიდა, რაც სახლიდან წავედი და აღარ დავბრუნდი... ამ ქვეყანაზე არსებულ ხმაურთაგან ის ხმა, რასაც მაშინ ჩემი ჭიშკარი გამოსცემდა, დღემდე ყველაზე მეტად მზარავს. ჭიშკართან დედა იდგა. მაშინ ისიც ჩემსავით ორმოცდარგის თუ ორმოცდაცხრის იყო... თეა, ომი დაიწყო! აღარ გავაგრძელებ წერას. სხვები მოჰყვებიან ჩემი აფხაზეთის ამბავს, ყველაფერს, რაც ნამდვილად იყო! — თეა კალანდიას ეს ემოცია „გადაედო“ იმ 14 არტისტს (პაპუნა პაპასქირი, ნინო კალანდია, ანა ბუკია, გიორგი ესაბუა, თეა თოფურია, პაატა შამუგია, ვინდა ფოლიო, კახა კინწურაშვილი, ზურა ჯიშკარიანი, ლადო ფოჩხუა, თომა პაპასქირი), რომელთა ჩანაწერებმაც ერთ წიგნში: „14 გეგაბატი“ მოიყარეს თავი და საკუთარი ისტორია ჩანაწერების, ფოტოებისა და ნახატების საშუალებით გაუზიარეს მკითხველს.

„ისტორია მესხიერებასა და წარმოსახვით რეალობას შორის“ — ამ სახელწოდებით მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წიგნის განხილვა და დისკუსია, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა II საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში გაიმართა.

თეა კალანდიას ინფორმაციით, წიგნში სამი თაობა ხვდება ერთმანეთს: „ეს არ არის წიგნი არც ომზე და არც მშვიდობაზე, აქ სამი თაობის მელანქოლიის, აპათიის, მარცხის და საკუთარ თავზე გამარჯვების ამბავია — ეს არის ამბავი არტისტებზე „ედემის გეტოებიდან“, მათზე, ვინც წყენა ხელოვნებად აქცია და დევნილობის გაუსაძლის დღეებს აზრი შესძინა. 23 წლის ვიყავი, როდესაც ეს ყველაფერი მოხდა, მას შემდეგ 26 წელი გავიდა... სწორედ ამ დისტანცირებამ და დრომ მომცა იმის საშუალება, მეფიქრა და გადამეწყვიტა — რა ფორმით და საშუალებით გამოვხატავდი სათქმელს.



რატომ „14 გზ“? — ამ კითხვაზე წიგნის ავტორის პასუხი ასეთია: „იმით, რომ აფხაზეთის ომი გრძელდებოდა 13 თვე და 13 დღე და მინდოდა, რომ ეს საკრალური — ცამეტი — აღარ განმეორებულიყო. რიგით მე-14-ე 13 წლის თომა პაპასქირია. წიგნში ამ თავს ჰქვია „ხვალ“. მართალია, თომას საკუთარი თვალთ არ უნახავს აფხაზეთი, მაგრამ წერს სოსუმზე, ოცნებობს მეზღვაურობაზე და ხატავს... ჩვენ მარტონი არ ვართ, არიან ასევე აფხაზი ბავშვები, მათ არ დაუგეგმავთ საკუთარი მომავალი, მაგრამ შეძლეს და დევნილობის კლანჭებს თავი დააღწიეს, სრულიად ახალი, საკუთარი ისტორია შექმნეს ამ ურთულეს ეპოქაში. წიგნში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავია — „შენ“. ...და ეს ფურცლები ცარიელია. ეს თავი იმ ყველას დასაწერია, ვისაც ჯერ კიდევ არაფერი უთქვამს“, — ამბობს თეა კალანდია.

სიმპოზიუმის საორგანიზაციო ჯგუფის თავმჯდომარის თეა ქაშუშაძის ინფორმაციით, წელს სიმპოზიუმის ძირითადი თემატიკა ისტორიის ეძღვნება და ამიტომ მრგვალი მაგიდის სადისკუსიო თემად შეირჩა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული საკითხი — აფხაზეთი. „ჩვენ საშუალება მივეცით დამსწრე საზოგადოებას — გაგვეხსენებინა არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესები, არამედ, ამ შემთხვევაში, აქცენტი გა-



კეთდა შემოქმედებაზე — თუ როგორ შეიძლება იქცეს ტრავმული გამოცდილება შემოქმედებით წყაროდ. ჩვენ სხვადასხვა სპეციალისტებთან ერთად ვსაუბრობთ იმ ისტორიულ მესხიერებაზე, რომელიც სხვადასხვა სფეროში მულავედება“, — აღნიშნა თეა ქაშუშაძემ.

თსუ-ის პროფესორმა ნინო ჩიქოვანმა წიგნის შესახებ თავისი მოსაზრება გაუზიარა დამსწრე საზოგადოებას: „როდესაც ამ ტექსტებს კითხულობ, ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ ისინი მკითხველისთვის არ დაწერილა, ეს ადამიანები თავისთვის წერენ, თუმცა, ჩვენ ბევრ ისეთ რამეს ვიგებთ, რაც ძლიერად მოქმედებს ჩვენს ემოციაზე. ტრავმის დაძლევისთვის და გადალახვისთვის, რომლის გარეშე ცხოვრება ვერ გაგრძელდება, ერთ-ერთი გარდაუვალი ნაბიჯია მისი ამოთქმა და სხვებისთვის გაზიარება. ამ წიგნში სხვადასხვა ფორმით კარგად არის წარმოდგენილი — თუ როგორ ხდება ეს პროცესი. ამასთან, თითქოს ჩვენც ვხვდებით ამ ემოციის თანამოზიარებებს, რაც ხელს უწყობს ამ ტრავმების გადალახვას და მიზნის მიღწევას“, — აღნიშნა ნინო ჩიქოვანმა.

წიგნის შინაარსსა და დიზაინზე ისაუბრა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა, მსახტვარმა ლევან სილაგაძემ: „მე სოსუმე-

ლი არ ვარ, ჩემს დიდ ბებია-ბაბუსას ჰქონდათ იქ სახლი, ამიტომ ბავშვობის დიდი ნაწილი სოსუმში მაქვს გატარებული. დღესაც, ჩემს წარმოდგენაში ასეთი ლამაზი ქალაქი არ არსებობს... მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და ემოცია ყველას გაერთიანებს. წიგნის შემდგენლის თეა კალანდიას, მხატვრის პაპუნა პაპასქირის და დიზაინერ ია მახათაძის დამსახურებაა, რომ წიგნი დახვეწილი გემოვნებით არის გაფორმებული და ვიზუალური ფოტო-მასალა თუ ნახატები თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს“, — აღნიშნა ლევან სილაგაძემ.

თსუ-ის ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტის მარიამ გოგიჩაიშვილის აზრით, წარსულის დავიწყება და „გადაგდება“ შეუძლებელია. „ადამიანებს, რომლებმაც არ იციან — რა მოუხერხონ თავიანთ ტრავმულ ცხოვრებას, ხშირად წარსულისთვის თვალის გასწორება უჭირთ, მაგრამ წიგნის ავტორმა გამოქვეყნა გზა და, ასევე, სხვა ადამიანებსაც დაეხმარა ამ გზის პოვნაში. ძლიერი ადამიანების მიზანიც და შესაძლებლობაც ეს არის, რომ როდესაც მათ შეუძლიათ საკუთარ მწარე გამოცდილებაში იპოვონ საზრისი და უკეთესი შესთავაზონ მომავალ თაობებს. ათასგზის „შეღაპრულ“ თემას წიგნის ავტორმა ახალი სიცოცხლე შესძინა“, — აღნიშნა მარიამ გოგიჩაიშვილმა.

„ალპინიადა 2018“-ს თსუ-ის ეკომოლაშქრების გაერთიანება

თამარ ლაღინი

უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 19-25 ოქტომბერს, ჯუთაში გაიმართა „ალპინიადა 2018“, სადაც მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 50 სტუდენტმა. ლაშქრობა სოფელ ჯუთადან (2200 მ.) დაიწყო და თსუ-ის სტუდენტები ჭაუხების 3500-მეტრიან მწვერვალზე — თიკანაძეზე, მუხაძეზე, რჩეულიშვილზე ავიდნენ. აღნიშნულ ღონისძიებას „თსუ ეკომოლაშქრეთა კლუბიც“ შეუერთდა. „მიუხედავად ამინდის გაუარესებისა, ჩვენ არ შევშინდით და დანაყოფების საქმე ბოლომდე მივიყვანეთ“, — ამბობენ ლაშქრობიდან დაბრუნებულნი. თსუ-ის

ეკომოლაშქრეთა კლუბის პრეზიდენტის ნიკა გვრიტიშვილის ინფორმაციით, ოქტომბრის ბოლოს, თსუ-ის სპორტისა და კულტურის დეპარტამენტმა აღადგინა ტრადიცია და წლების შემდეგ ჩაატარა პირველი ალპინიადა, რომლის ფარგლებშიც თსუ-ის 50 სტუდენტი (მათ შორის ეკომოლაშქრეთა კლუბის წევრები) იმყოფებოდა ჯუთაში. „ლაშქრობა საკმაოდ წარმატებული გამოდგა. რადგან აქამდე დამოუკიდებლად ვმოქმედებდით და დამოკიდებული ვიყავით სტუდენტური პროექტების დაფინანსებაზე, ამიტომ გადაწყვიტეთ, ჩვენი საქმიანობის განვითარების მიზნით, აქტიური თანამშრომლობა დავამყაროთ თსუ-ის სპორტისა და კულტურის დეპარტამენტთან, რაც, იმედია, დადებითად აისახება კლუბის საქმი-

ანობაზე“, — ამბობს ნიკა გვრიტიშვილი.

თსუ-ის ეკომოლაშქრეთა კლუბი 5 ეკოლოგის (რატი გელაშვილი, თემო ნაფეტვარიძე, გვანცა ერისთავი, ნინო ტაბატაძე, ნინო ინასარიძე) ინიციატივით 2016 წელს შეიქმნა. ეკომოლაშქრეთა კლუბის წევრების ერთ-ერთი მიზანი ბუნების დაცვა და მისი მოვლა-პატრონობაა. კლუბის პრეზიდენტი, ლაშქრობების გარდა, კლუბის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა აქტივობებზეც ალაპარაკდა:

„დამეთანხმებით, გარემოს დაცვა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა, რადგან დღეს, ყველა შეგნებულ ადამიანს გააზრებული აქვს ის, რომ სუფთა გარემო ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ჯანსაღი მომავალია! ეს

რამდენად აქვთ საქართველოში გააზრებული, რთული სათქმელია, მაგრამ თუ გადავხედავთ ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას, ნამდვილად ყველაფერი ნათელი იქნება.

ჩვენი კლუბის მთავარი მიზანი სწორედ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა. გვინდა, სტუდენტებს ის საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მივანოდოთ, რომელიც ლაშქრობების დროს გამოადგებათ. ვატარებთ ლექციებს და სემინარებს, სადაც ყურადღებას ვამახვილებთ ლაშქრობის დაგეგმარებასა და მოლაშქრისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებზე.



„ალჰინიალა 2018“-ს თსუ-ის აკომოლაშქრების შედეგად

აპ-14 გვლან

უკვე 1 წელია დაგეგმიდრეტ ტრადიცია — კლუბის ყოველი ახალი წევრისთვის ვინავეთ პროფესიონალ მოლაშქრე-ინსტრუქტორებს, რომლებიც ასწავლიან სტუდენტებს — თუ როგორ უნდა გადავრჩეთ ველურ პირობებში, როგორ შევარჩიოთ სწორად ეკიპირება, როგორ გამოვიყენოთ ის და, რაღა თქმა უნდა, როგორ აღმოვუჩინოთ დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება.

მხოლოდ ლაშქრობებით არ შემოვიფარგლებით — ხშირად ვატარებთ გარემოს დასუფთავების აქციებს სხვადასხვა ლოკაციაზე, თბილისში თუ მის შემოგარენში, ვასუფთავებთ იმ ადგი-

ლებსაც, სადაც ვლაშქრობთ. ამასთან ერთად, კლუბის წევრებისთვის ვატარებთ სხვადასხვა გასართობ თუ ინტელექტუალურ თამაშებს, როგორებიცაა „CITY GAME“ და „რა? სად? როდის?“.

კლუბის შექმნიდან დღემდე არაერთი ღონისძიება გავმართეთ, რომლებიც მოიცავდა თემატურ ლექციებს: „რადიაცია და მისი საფრთხე“, „არამზიური პლანეტები და დედამიწა“, „ქვეწარმავლები და მათი როლი“, „საქართველოს დაცული ტერიტორიები“, „პლანეტა დედამიწა, მტკნარი წყალი“, „უსაფრთხო ლაშქრობა და პირველადი დახმარება“.

კლუბში მონაწილე გვყავდა მოგზაური ირაკლი გუჯაბიძე, რომელიც სტუდენტებს თავის მოგზაურობებზე ესაუბრა.

რაც შეეხება ჩვენს ეკოლაშქრობებს, მთლიანად ვართ დამოკიდებული თსუ-ის სტუდენტური პროექტების დაფინანსებაზე. კლუბი კომერციული არ არის და ჩვენი მამოძრავებელი ძალა ენთუზიაზმია. მიუხედავად ამისა, ორჯერ დავლაშქრეთ რკონი და ბირთვისი, ვესტუმრეთ: ქიათურას, გუდაურს, ხადას ხეობას, თრუსოს ხეობას, სტეფანწმინდას (გერგეთის სამება, გველეხის ჩანჩქერი), ფიტარეთს, კახისის ტბას. არაერთი ლაშქრობა გვქონდა თბილისის შემოგარენშიც: კოჯორში, ქოროლის ციხეზე, წოდორეთში, ნათლისმცემლის მთაზე, უძოს მონასტერში“ — გვითხრა ნიკა გვრიტიშვილმა.

ცნობისთვის: ოთხი სემესტრის განმავლობაში „თსუ ეკოლაშქრეთა

კლუბმა“ 300-მდე სტუდენტი გააერთიანა. ჩაატარა 12 ეკოლაშქრობა საქართველოს ტერიტორიაზე და 400-მდე სტუდენტს მისცა ცოდნა გარემოს დაცვის შესახებ ლექციებისა და თემატური ფილმების სახით.

აკომოლაშქრეთა კლუბში განვარდნილია შიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი, რომელიც ირიცხავიან ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე. მიღება სოციალურად აქტიური სემესტრის დასაწყისში და ამის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება კლუბის ფაისბუქ-გვერდის საშუალებით.

გახსენება



ელენე სოხაძე – 100

მალე იგი აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე.

1953 წელს ქალაქ თბილისში გადამოსვლის შემდეგ, ელენე სოხაძე თავდაპირველად მუშაობდა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, ხოლო 1954 წლიდან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილებაში. გეოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობამ ცნობილი მკვლევრების ლევან მარუაშვილის, დავით უკლებას, ლევ ვლადიმეროვის, მიტროფანე კორძაიას და სხვათა გვერდით განსაზღვრა ელენე სოხაძის ბოტანიკურ-გეოგრაფიული კვლევის ასპექტში მეცნიერული ორიენტაციის ძირითადი მიმართულება. იქ მუშაობის პირველ წლებში (1954-1960) ინსტიტუტის თემატიკის მიხედვით იგი მონაწილეობდა ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ექსპედიციებში. ხშირად, მასთან ერთად გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციებში მისი მეუღლე, ასევე ცნობილი ბოტანიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მოსე სოხაძე იმყოფებოდა. ე. სოხაძემ შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის (ქვემო ქართლის, ზემო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთის და სხვ.) მცენარეული საფარი, როგორც ლანდშაფტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. კვლევის შედეგები გამოქვეყნდა გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში.

სამეცნიერო მუშაობისას ელენე სოხაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ქანების გავლენა მცენარეულობაზე, მცენარის ინდიკაციური როლი ბუნებრივ და ანთროპოგენურ ფაქტორებზე; აღსანიშნავია აგრეთვე მთიანი რაიონების ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონების პრინციპები და მეთოდები, რომელმაც განვითარება პპოვა მის შემდგომ შრომებში. მათ შორის მონოგრაფიებსა და სადოქტორო დისერტაციას.

წლების განმავლობაში ელენე სოხაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მათ შორის აღსანიშნავია მაღალმთის მცენარეულობის შემსწავლელი ლანდშაფტურ-ინდიკაციური და მთიანი ქვეყნების ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონებისადმი მიძღვნილი ფორუმები. იგი ყველგან გამოდიოდა მოხსენებებით, რომლებიც ასახულია აღნიშნული ფორუმების მასალებში სტატიების და თეზისების სახით.

დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების შესწავლასთან დაკავშირებულმა გამოკვლევებმა და მათმა განზოგადებამ შესაძლებლობა მისცა ავტორის შეხსენებებში ორი მონოგრაფია: „დასავლეთ საქართველოს კირქვიანი მთების ბოტანიკურ-გეოგრაფიული დახასიათება“ (1968 წ.) და „კირქვიანები და მცენარეულობა (ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზი ევრაზიის მაგალითზე)“ (1982 წ.). ამავე მასალების მიხედვით 1971 წელს ქალაქ ლენინგრადში მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „დასავლეთ საქართველოს კირქვიანი მთების ბოტანიკურ-გეოგრაფიული დახასიათება“. ამ ნაშრომში ღრმადაა გაანალიზებული

ლი მთიანი რეგიონების ლანდშაფტების კვლევის მეთად აქტუალური პრობლემები. კერძოდ, ქანებისა და მცენარეულობის ურთიერთკავშირი, ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების შეფასებისას მცენარეულობის ინდიკაციური როლი; ასევე განხილულია სადისკუსიო საკითხები მთიანი ქვეყნების დარაიონებისა და კარტირების მეთოდებისა და პრინციპების შესახებ. ხაზგასმულია კარბონატული ეკოტოპების დიდი მნიშვნელობა სხვადასხვა რეგიონების ფლორისა და მცენარეულობის ისტორიაში, დიდი ყურადღება ეთმობა კირქველი ეკოსისტემების დაცვის საკითხებს.

ე. სოხაძემ გეოგრაფიის ინსტიტუტში შექმნა უნიკალური ჰერბარიუმი, რომელიც საქართველოს კუთხეებში, ექსპედიციების დროს მოპოვებული სხვადასხვა სახეობის მცენარეებით იყო წარმოდგენილი, მათგან განსაკუთრებით, აფხაზეთის კირქვიანების მცენარეთა ჰერბარიუმია აღსანიშნავი. აფხაზეთის მაღალმთიანეთში (ოხაჩქუეს მასივი) ელენე სოხაძემ გამოიკვლია როდოდენდრონის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც მიაკუთვნეს მისი სახელი — სოხაძის როდოდენდრონი (*Rhododendron Sochadzeae*).

ელენე სოხაძის გამოკვლევებმა მაღალი შეფასება მიიღო ცნობილი სპეციალისტების მხრიდან, რაც აისახა ცენტრალურ ჟურნალებში მოთავსებულ რეცენზიებში, ხოლო მონოგრაფია „კირქვიანები და მცენარეულობა (ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზი ევრაზიის მაგალითზე)“ — საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის 1985 წელს დაჯილდოვდა მოსკოვის ბუნების გამომცემელთა საზოგადოების საპატიო დიპლომით.

ელენე სოხაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილებაში შესრულებულ რიგ გამოკვლევებში; კერძოდ თბილის-რუსთავის მწვანე ზონისა და კოლხეთის ანთროპოგენური ლანდშაფტების შესწავლაში, ამიერკავკასიის ლანდშაფტური რუკის შედგენაში, ქვემო და შიდა ქართლის, კახეთისა და სხვა რეგიონების ბოტანიკურ-გეოგრაფიულ გამოკვლევებში და სხვ. ამ პრობლემებზე გამოქვეყნებულ შრომებში გარკვეული ყურადღება ეთმობა მცენარეულობის, ეკოლოგიური და ანთროპოგენური ფაქტორების ურთიერთკავშირს; ნაჩვენებია ამ პროცესების დინამიკა და მოცემულია სათანადო რეკომენდაციები ბუნების დაცვისა და სავარგულეობის რაციონალური გამოყენების მიზნით.

ელენე სოხაძის კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეიცავს მდიდარ და ახალ ინფორმაციას კავკასიის მცენარეულობაზე, როგორც ლანდშაფტის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტზე, გაანალიზებულია მცენარეულობის ინდიკაციური როლი ლანდშაფტის შესწავლაში, მათ დარაიონებასა და სამეურნეო გამოყენებაში.

ე. სოხაძე გარდაიცვალა 1997 წლის 26 აპრილს თბილისში. ნახევარი საუკუნე ერთგულად ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას. იყო თვალსაჩინო გეობოტანიკოსი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ქმნიდა საინტერესო მეცნიერულ ნაშრომებს.



სოხაძის როდოდენდრონი (*Rhododendron Sochadzeae*)

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ელენე სოხაძის მაღალი ადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებები. მუდამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით გადატვირთული, მაინც გამონახავდა დროს, დახმარება გაენიჭა ახალგაზრდა კოლეგებისთვის, წაეკითხა მათი მოხსენებისა თუ სტატიის ტექსტი, მიეცა საჭირო რჩევადარიგებანი. იყო მრავალი სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომის ოპონენტი.

ელენე სოხაძეს დარჩა ძვირფასი შთამომავლობა — მისი შვილები ასევე წარმატებული მეცნიერები არიან თავიანთ სამოღვაწეო დარგში: ვიქტორ სოხაძე — ელენე სოხაძის ინსტიტუტის ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, ესტატე სოხაძე — ბიომედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჯერ სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის გრინვილის (აშშ), სამედიცინო სკოლის პროფესორი იყო, ხოლო ამჟამად ლუისვილის (კენტუკის შტატი, აშშ) უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ფსიქიატრიისა და ბიპევიორისტულ მეცნიერებათა საპატიო პროფესორია. ე. სოხაძის შვილიშვილები კი დოქტორანტები არიან და სამომავლოდ, იმედაა, ისინიც წარმატებით გააგრძელებენ მოღვაწეობას მეცნიერებაში.

ასე სამაგალითოდ განვლო თავისი ცხოვრების გზა ამ არაჩვეულებრივად კეთილმა, გულისხმიერმა და ფართო სამეცნიერო ინტერესების მქონე ადამიანმა. ასეთად მოიგონებს ელენე სოხაძეს ყველა, ვინც კი იცნობდა ან ოდენვე შეხვედრია მას.

კოზა ხარაძე,
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის
გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური
გეოგრაფიის განყოფილების გამგე

ელენე სალუქვაძე,
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის
გეოგრაფიის ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე



ახალი სხივი – „93-ე აუდიტორია“ თსუ-ში აღდგა



დავით მალრაძე

ოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ლიტერატურული წრე „93-ე აუდიტორია“ აღდგება, განახლდება ალმანახის — „პირველი სხივის“ გამოცემა. გადამწყვეტილება ამის შესახებ შეხვედრაზე მიიღეს, რომელსაც თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის კურსდამთავრებულები — ცნობილი მწერლები, გამომცემლები, თავის დროზე „93-ე აუდიტორიის“ წრის წევრები დაესწრნენ.

„საინტერესო შეხვედრა იყო იმ ხალხთან, ვინც იბეჭდებოდა „პირველი სხივი“ — სტუდენტურ ალმანახში, რომელთანაც დაკავშირებულია ბევრი ცნობილი სახელი; მთელი პლეადა აღიზარდა 93-ე აუდიტორიაში, სადაც მიმდინარეობდა განხილვები, ცხარე კამათი. ჩემს სტუდენტობაშიც მასსოვს, რომ ეს იყო ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი, სადაც იკრიბებოდნენ ლიტერატურის მოყვარულები. ბევრი მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი, დრამატურგი გაიზარდა ამ ტრადიციებზე. დღევანდელმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ უნდა აღდგეს სტუდენტური ალმანახი, აღდგეს შეხვედრები, სადაც მოხდება კრიტიკული გააზრება იმისა, რასაც ქმნი“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

მწერალ კოტე ჯანდიერის თქმით, უნდა აღდგეს ლიტერატურული დებატის კულტურა, ლიტერატურული საკითხებისა და კულტურული ტენდენციების შესახებ ერთმანეთისთვის გააზრების ტრადიცია. „სწორედ ამის ექო იყო „პირველი სხივი“ — ინფორმაციული სხივი ერთობ ღარიბ დროში.

ეს სხივი დღესაც საჭიროა და საშუალო. ეს არის მოედანი, სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ ის, რაც სხვამ არ იცის, იყვნენ კრიტიკულები. კრიტიკული აზრის მოსმენის კულტურა იზრდება ახალგაზრდობიდან“, — აღნიშნა კოტე ჯანდიერმა.

ათეული წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში (ახლანდელი ნიკო ცხვედაძის სახელობის აუდიტორია) იმართებოდა სტუდენტური ღონისძიებები. ახალგაზრდა მწერალთა წრის შეხვედრა-დისკუსიებზე მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი, ახლა კი უკვე სახელგანთქმული და ყველასათვის საყვარელი მწერლები თუ პოეტები თავიანთ ნაწარმოებებს აცნობდნენ საზოგადოებას და პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სამწერლობო ასპარეზზე. მაშინდელ თაობას ახსოვს ახალგაზრდული გულწრფელობით, ენერგიითა და რომანტიზმით სავსე საღამოები.

„ბედნიერი ვიყავი, როდესაც ჩემი პირველი თარგმანები დაიბეჭდა „პირველი სხივი“ და როცა ტარიელ ხარხელაურმა შემომთავაზა, რომ ჩემი ლექსები წამეკითხა 93-ე აუდიტორიაში. როგორი მოკრძალებითაც მაშინ შემოვედი უნივერსიტეტში, ის მოკრძალება მომყვება დღემდე. ყველანი მომხრენი ვართ, რომ გაცოცხლდეს ის დიდი ჰარმონია და შედგეს სტუდენტს, პედაგოგსა და მხარდამჭერებს შორის დიდი თანაცხოვრების კულტურა, სადაც დაიბადება ლექსიც, კამათიც, ჭეშმარიტებაც, ყოველ შემთხვევაში, იქნება ჭეშმარიტების ძიება“, — განაცხადა პოეტმა დავით მალრაძემ.

უნივერსიტეტის ლიტერატურული წრე „93-ე აუდიტორია“ პირველად 1947 წლის სექტემბერში შეიკრიბა. მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. უნივერსიტეტში

ბევრი გამოჩნდა ლიტერატურით დაინტერესებული ახალგაზრდა. მათ შორის იყვნენ ომიდან დაბრუნებულებიც, ვინცა ჯერ კიდევ ფარაჯა ეცვა და სკოლადამთავრებულებიც, ვინც თვლიდა, რომ მათი მოწოდება მწერლობა იყო. ლიტერატურულ წრეს ხელმძღვანელობდა დოცენტი ბესო ჟღენტაძე.

„პირველი სხივის“ პირველი ნაბიჯების ასაკის ვარ და მოვეყვები მას მთელი ჩემი ცხოვრება. ყოველთვის მასხენდებოდა ის, თუ რა საინტერესო იყო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება უნივერსიტეტში, და არა მხოლოდ. ყველაფერი ეს იყო უსუფთავესი ეროვნული გრძნობების საყრდენი, ერთ-ერთი სვეტბაგანი. „აუდიტორია 93“-ის აღდგენა ძალიან წაადგება ახალგაზრდობას და მამათა და შვილთა ურთიერთობას“, — აღნიშნა მწერალმა გივი შაჰნაზარმა.

თავდაპირველად, წრე დიდი არ იყო, სხდომებს ხალხიც ცოტა ესწრებოდა, მაგრამ მალე ახალგაზრდა მწერალთა წრე ძალიან პოპულარული გახდა. მუშაობის ერთადერთი ფორმა მაშინ წრის სხდომაზე წევრთა ნაწერების კითხვა-განხილვა იყო. შემდგომ, მუშაობა ისე გაცხოველდა, წრეს იმდენი ახალი წევრი შეემატა, იმდენი საყურადღებო ლიტერატურული მასალა დაგროვდა, რომ შესაძლებელი გახდა ალმანახის დაარსება, რისი ინიციატივაც უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს ეკუთვნის. ასე დაიბადა „პირველი სხივი“, რომლის პირველი ნომერი 1950 წელს გამოვიდა. რექტორის ნიკო კეცხოველის სპეციალური ბრძანებაც კი გამოიცა, რომლის თანახმად, 1951 წლის 24 დეკემბრიდან უნივერსიტეტელ მწერალთა გაერთიანებას „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე“ ეწოდა. ყოველ მომდევნო წელს ალმანახ „პირველი სხივის“ ახალი ნომერი გამოდიოდა. 2004 წლამდე სულ 30 ნომერი დაისტამბა.



მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია

მთავარი სამცხალისტი
მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტიკა:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკომპიუტერული
ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლოზიანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

☎ 2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge



2017 წლის
1 ოქტომბრიდან
გადავა „უნი-ვერსია“
გაღის რეგიონულ
ტელევიზიაში, რასაც
საქართველოს
რეგიონულ
აუწყებელთა ასოციაცია
უზრუნველყოფს (თსუ-სა
და საქართველოს
რეგიონულ აუწყებელ-
თა ასოციაციასთან
გაფორმებული მემო-
რანდუმის თანახმად).

ახალი რეგალია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, თსუ-ის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს ირმა რატიანს 2018 წლის 15 ნოემბერს მიენიჭა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება.

